ხელშეკრულება 567
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(საინფორმაციო მომსახურების შესახებ)

ქ. თბილისი „5" „03" " 2018 წ.

შემსრულებელი, შპს „ახალი ამბები"-ს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი" (შემდეგში – „სააგენტო") მისი დირექტორის მინდობილი პირის **მარიამ ხუგაშვილის** სახით ერთის მხრივ და სხვა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო **დამკვეთი,** (შემდეგში – **„დამკვეთი"**), მისი დირექტორის **ალექსანდრე ხვადაგიანის** სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სააგენტოს მიერ დამკვეთისათვის საინფორმაციო სფეროში მომსახურების გაწევა (CPV92400000) . კერძოდ, სააგენტო ყოველდღიურად მომზადებულ საინფორმაციო ახალ ამბებს (შემდეგში – **„ინფორმაცია"**) გასაცნობად მიაწვდის დამკვეთს, ხოლო დამკვეთი ვალდებულია სააგენტოსთან ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

2. საინფორმაციო მომსახურების პირობები

2.1. სააგენტო დამკვეთს ყოველდღიურ საინფორმაციო ანონსებს და ნიუსებს მიაწოდებს ელექტრონულ ფოსტაზე და ასევე უზრუნველყოფს დამკვეთის წვდომას ანონსებზე, ნიუსებზე და არქივზე.

2.2. სააგენტო უზრუნველყოფს დამკვეთის მიერ მიწოდებული სიახლეების განთავსებას ვებგვერდზე www.ipn.ge და მათ გავრცელებას სხვა მედია საშუალებებისთვის, თვეში არაუმეტეს 5-ჯერ.

2.3. საინფორმაციო მომსახურების გაწევა განხორციელდება ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის საშუალებით.

2.4. მხარეები აცხადებენ რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხდება დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად და იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის სრულ ათვისებას იგი ვალდებულია სრულად ხელშეკრულების 4.1. მუხლით გათვალისწინებული ოდენობით განახორციელოს ანგარიშსწორება მომსახურების ღირებულებაზე მიუხედავად იმისა შეძლო თუ არა მან მისთვის მინიჭებული მომსახურების სახეობებისა და ოდენობების სრული ათვისება.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. მომსახურების გაწევის ვადა 2 (ორი) თვის განმავლობაში.

3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 5 მარტიდან და მოქმედებს 2018 წლის 5 ივნისი ჩათვლით.

4. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინფორმაციო მომსახურების 1 (ერთი) თვის ღირებულება შეადგენს 578 (ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 1156 (ათას ასორმოცდათექვსმეტი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

4.2. დამკვეთი სააგენტოსთან ანგარიშსწორებას განახორციელებს ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, სააგენტოს მიერ მიწოდებული ინვოისის ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4 დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. სააგენტო ვალდებულებას კისრულობს:

5.1.1. დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.1.2. დამკვეთს ყოველდღიურად მიაწოდოს საინფორმაციო ახალი ამბები (ანონსები, ნიუსები) და უზრუნველყოს მისი არქივზე წვდომა;

5.1.3. თუ, სააგენტოს ინიციატივით ვადაზე ადრე შეწყდება ხელშეკრულება, დამკვეთს დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი თანხა, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების გამოკლებით;

5.2. სააგენტოს უფლება აქვს:

5.2.1. შეცვალოს სააგენტოს ბმულის მისამართი (www.ipn.ge);

5.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინფორმაციო მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში დამკვეთს შეუჩეროს საინფორმაციო მომსახურება თანხის სრულად გადახდამდე;

5.2.3. სააგენტოს შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე არ განათავსოს ვებ-გვერდზე დამკვეთის მიერ მოწოდებული საინფორმაციო ახალი ამბავი (ანონსი), მათ შორის ისეთი, რომელიც შეიცავს არაკორექტულ, არაეთიკურ, ან მესამე პირების შეურაცხმყოფელ ინფორმაციას.

5.3. დამკვეთი ვალდებულებას კისრულობს:

5.3.1. დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.3.2. სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის და სააგენტოს წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს დისტრიბუციის, გაცვლის, გაყიდვის ან სხვა მიზნით.

5.3.3. სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მედია საშუალებებში გამოყენებისას მიუთითოს ინფორმაციის წყარო (სააგენტოს დასახელება – „ინტერპრესნიუსი"), ხოლო ინტერნეტმედია (ან სხვა ელექტრონულ) საშუალებებში გამოყენების (გადაბეჭდვის) შემთხვევაში მიუთითოს ინფორმაციის წყარო სააგენტოს დასახელება „ინტერპრესნიუსი" მასზე გააქტიურებული ბმულით (www.ipn.ge), რომელიც მკითხველს გადაიყვანს სააგენტოს ვებ-გვერდზე.

5.3.4. სააგენტოს მიერ მიწოდებული საინფორმაციო ახალი ამბები (ნიუსები, ანონსები) გამოიყენოს 5.3.3. პუნქტის შესაბამისად მხოლოდ ერთ მედია (პლატფორმაში) საშუალებაში, ხოლო ორ ან მეტ ინტერნეტმედია (ან სხვა ელექტრონულ) საშუალებაში გამოყენება განხორციელდება სააგენტოსთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.3.5. სააგენტოს ბმულის მისამართის ცვლილება გაითვალისწინოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

5.3.6. გაწეული მომსახურებისათვის ანგარიშსწორება განახორციელოს სააგენტოსთან, ხელშეკრულებით განსაზღვრულ დრომდე და განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5.4. დამკვეთს უფლება აქვს:

5.4.1. სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებისას მოახდინოს მისი თარგმნა ან რედაქტირება იმ პირობით, თუ არ შეიცვლება ინფორმაციის შინაარსი და აზრი.

5.4.2. არქივის შექმნის მიზნით მოახდინოს სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვა, მათ შორის ელექტრონული სახით.

5.5. თითოეული მხარე ვალდებულია:

5.5.1. ნებისმიერი შეტყობინება განახორციელონ წერილობით. შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

5.5.2. დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორიცაა: – მისამართები, საბანკო რეკვიზიტები, სამართლებრივი ფორმა, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ა.შ.

5.5.3. არ გაახმაუროს მეორე მხარის კომერციული კონფიდენციალური საიდუმლო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

6. პასუხისმგებლობა

6.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის ვადების, ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირები.

6.3. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის და ვალდებულნი არიან მეორე მხარეს აუნაზღაურონ მიყენებული ზიანი, მათ შორის მიუღებელი სარგებელი.

6.4. სააგენტოს უფლება აქვს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებულ დრომდე გადაუხდელობის შემთხვევაში, დამკვეთს დააკისროს პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში; ასეთ გარემოებად მიიჩნევა: ომი, საბრძოლო მოქმედება, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი და ა.შ.

7.2. მხარე ვალდებულია, ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

8.1.2. მოქმედების ვადის გასვლით;

8.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ:

ა) მეორე მხარე არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) ერთი მხარე მოითხოვს ხელშეკრულების პირობების შეცვლას, ხოლო მეორე მხარე ამის წინააღმდეგია.

8.2. თითოეული მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე, ასევე ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, 1 (ერთი) თვით ადრე გააფრთხილოს ამის შესახებ მეორე მხარე.

9. დავის გადაწყვეტა

9.1. მხარეები შეეცდებიან, მათ შორის წამოჭრილი დავა გადაწყვიტონ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. დამკვეთის მიერ მოწოდებული მასალების შემსრულებლის მიერ გავრცელებისას მოწოდებული მასალების შინაარსზე, გამოხატვაზე, სიწორეზე, ასევე მათთან დაკავშირებულ საავტორო უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელია დამკვეთი.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს.

10.2. თუ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა, მაგრამ არცერთ მხარეს არ მოუთხოვია ხელშეკრულების შეწყვეტა ან შეცვლა 1 (ერთი) კვირის განმავლობაში, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით რა ვადითაც იქნა დადებული.

10.3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი
დ ა ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ბ ი

ს ა ა გ ე ნ ტ ო	დ ა მ კ ვ ე თ ი
შპს „ახალი ამბები”	სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო,
ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. №49	მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №83ა;
ს/კ: 205075014	ს/კ - 205316497
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი”საქართველო	საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **MIBGGE22**	სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ა/ა: **GE84 PC0263600100017728**	
ტელ: 238 98 05; 591 19 44 45;	
ელ/ფოსტა: **subscribe@ipn.ge**	

დირექტორის მინდობილი პირი: _____
//მარიამ ხუგაშვილი//

დირექტორი: _____
//ალექსანდრე ხვადაგიანი//

გავეცანით ხელშეკრულების პირობებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად

სსიპ საგანეგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს უფროსი

მ.სიჭინავა

სსიპ საგანეგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
ადმინისტრაციის უფროსი

ი. ფატიმი

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

ა.გონაძე